ეროვნული პროფესიული საბჭოს

სხდომის ოქმი 14.03.2014

შეხვედრის ადგილი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

<u>შეხვედრის მონაწილეები:</u>

№	სახელი, გვარი	თანამდებობა
1.	თამარ სანიკიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
2.	თეა გულუა	საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
3.	ნიკოლოზ მესხიშვილი	სოცილური პარტნიორობის სამმართველოს უფროსი
4.	მარინა ჟვანია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათებლო პროგრამების სამსახურის უფროსი
5.	მარიამ ჯაში	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
6.	პაპუნა შენგელაია	ევროპულ და ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახემწიფრო მინისტრის აპარატის უფროსი
7.	ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
8.	ირაკლი პეტრიაშვილი	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
9.	ნათელა პაპუნაშვილი	საზოგადოებრივი კოლეჯის ”აისი” დირექტორი
10.	ალექსანდრე მარგიშვილი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე
11.	დავით მელუა	საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
12.	ელგუჯა მამასახლისი	შპს „ელსელემას“ გენერალური დირექტორი
13.	გივი კახიშვილი	შემდუღებელთა და მასალათმცოდნეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი
14.	ჟაკო ჯორჯაძე	საქართველოს ბარმენთა ასოციაციის პრეზიდენტი
15.	დანიელ დავითაშვილი	საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე
16.	ქეთევან ჯაყელი	მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი
17.	თამარ ქიტიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
18.	რატი ბრეგაძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე

მას შემდეგ რაც საბჭოს წევრების რაოდენობით ქვორუმი შედგა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ქალბატონმა თამარ სანიკიძემ საბჭოს მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც მოიცავდა ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრთა კენჭისყრას, „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორულ საკოორდინაციო საბჭოში“ ეროვნული პროფესიული საბჭოს წარმომადგენლის განსაზღვრის მიზნით.

ქალბატონმა თამარმა კიდევ ერთხელ გააცნო საბჭოს წევრებს საბჭოს სხდომაზე კენჭისყრის ჩატარების მიზანი და მონაწილეებს ჰკითხა მოსაზრება კენჭისყრის ფორმატთან დაკავშირებით, ხმათა უმრავლესობით კენჭისყრის დახურული ფორმატით ჩატარება გადაწყდა.

საბჭოს წევრებს დაურიგდათ ბიულეტენები, სადაც თითოეულმა საბჭოს წევრმა დააფიქსირა მისთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატი და ბიულეტენები მოათავსეს კენჭისყრისთვის განკუთვნილ ყუთში. ხმის მიცემის პროცესის დასრულებისთანავე საბჭოს სამდივნომ დათვალა ხმები, რომლებიც შემდეგნაირად გადანაწილდა:

	სახელი გვარი	ორგანიზაცია/პოზიცია	ხმათა რაოდენობა
1.	დანიელ დავითაშვილი	საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე	3
2.	თეა გულუა	საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი	11
3.	ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი	2
4.	თამარ ქიტიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1
5.	თამარ სანიკიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	1

ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ ქალბატონო თეა გულუა - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, წარმოადგენს ეროვნულ პროფესიულ საბჭოს საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებულ „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორულ საკოორდინაციო საბჭოში“.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ქალბატონი თეა გულუა აღარ მუშაობს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციაში, ვინაიდან გაეროს განვითარების პროგრამაში გადავიდა სამუშაოდ. რაზეც, თეა გულუამ უპასუხა, რომ მიუხედავად გაეროს

განვითარების პროექტში მუშაობისა, ის რჩება ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორად და კანონი მას ამ საქმიანობაში არ ზღუდავს.

სხდომა შეჯამდა და დახურულად გამოცხადდა.